პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# Боевой страж

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო

ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

შაბათი, 7 აპრილი, 1990 წელი ● № 15 (2892) ● СУББОТА, 7 АПРЕЛЯ 1990 г.

## 1990 წლის 9 აპრილის საქართველოში გლოვის დღედ გამოცხადების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად 1989 წლის 9 აპრილს თბილისში ტრაგიკულად დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად ფართო საზოგადოებრიობის სურვილისა და თხოვნის შესაბამისად, 1990 წლის 9 აპრილი საქართველოში გლოვის დღედ ცხადდება.

ამ დღეს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე უნდა დაიხაროს სახელმწიფო დროშები, გაუქმდეს გასართობი ღონისძიებანი, მომზადდეს რადიოსა და ტელევიზიის შესაბამისი პროგრამები.



## Официальная информация

## ПОСТАНОВЛЕНИЕ ВЕРХОВНОГО СОВЕТА СССР

**О ПОРЯДКЕ ВВЕДЕНИЯ В ДЕЙСТВИЕ ЗАКОНА СССР «ОБ УСИЛЕНИИ ОТВЕТСТВЕННОСТИ ЗА ПОСЯГАТЕЛЬСТВА НА НАЦИОНАЛЬНОЕ РАВНОПРАВИЕ ГРАЖДАН И НАСИЛЬСТВЕННОЕ НАРУШЕНИЕ ЕДИНСТВА ТЕРРИТОРИИ СОЮЗА ССР».**

Верховный Совет постановляет:

1. Ввести в действие Закон СССР «Об усилении ответственности за посягательства на национальное равноправие граждан и насильственное нарушение единства территории Союза ССР» с момента его опубликования.
2. Рекомендовать Верховным Советам союзных республик привести законодательство союзных республик в соответствие с Законом СССР «Об усилении ответственности за посягательства на национальное равноправие граждан и насильственное нарушение единства территории Союза ССР».

ПРЕДСЕДАТЕЛЬ ВЕРХОВНОГО СОВЕТА СССР
А. ЛУКЬЯНОВ.

Москва, Кремль.
2 апреля 1990 г.

## В КОЛЛЕГИИ МВД ГССР

**4 АПРЕЛЯ** состоялось очередное заседание коллегии МВД ГССР.

На заседании с информацией «О проведении мероприятий по борьбе с пьянством и алкоголизмом органами внутренних дел Грузинской ССР в свете постановлений ЦК КПСС и Совета Министров СССР» выступил начальник УООП МВД ГССР полковник внутренней службы Г. Бичашвили.

На заседании была также заслушана информация начальника УПС МВД ГССР полковника милиции Л. Горгодзе об итогах воспитательной работы среди несовершеннолетних за 1989 год.

## რანი ვართ, რანი ვიქნებით

**10 აპრილს** მთელი ქვეყანა წინადღით მომხდარზე ლაპარაკობდა. შემაზრზენი იყო · ყოველივე იმის გააზრება, რაც მოხდა. ცრემლად დაღვრილი დარდი გუბეებად იდგა რუსთაველის გამზირზე, სანთლების ალში გახვეულიყო მთელი საქართველო. ათასი ტკივილი, ბოღმა და მაინც ბევრის მიმართ მადლიერების სიტყვები — ვინც სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად გადაარჩინა მეგობარი, ნაცნობი თუ უცნობი. ელვისებურად მოედო ჩვენი მილიციის თავგანწირვის ამბავი მთელ საქართველოს. ყველა ერთსა და იგივეს იმეორებდა: — „რომ არა ჩვენი მილიცია, გაცილებით მეტი ხალხი დაიღუპებოდა, თურმე რა ბიჭები ყოფილან...“ ბევრს გულის სიღრმეში ტკივილიც კი მოჰგვარა ასეთმა შეფასებამ და ვერც გავამტყუნებთ. ნუთუ მართლა 9 აპრილი იყო საჭირო იმისათვის, რომ მილიციას ხალხისადმი თანადგომა და ერთგულება გამოეხატა? ან ხალხს დაენახა ეს ერთგულება? ნუთუ ამ სახით სისხლის ღვრა აუცილებელი იყო ავტორიტეტის მოსაპოვებლად? ბევრი საფიქრალი გაჩნდა, უამრავი პრობლემა ამოტივტივდა ზედაპირზე და მაინც რა შეიცვალა 1 წლის შემდეგ, როგორი გახდა ჩვენი მილიცია, ან რას ველით მისი ხვალინდელი დღისგან. მოდით ამის განსჯის უფლება თავად ადამიანებს მივცეთ — სხვადასხვა პროფესიის, ასაკის, შეხედულებებისა და აზროვნების მიუხედავად. ისინი დღეს ჩვენი ნომრის სტუმრები არიან:





**ნიკოლოზ ჩიჩუა, მუშა** — დღევანდელ მილიციაზე ვერაფერს გეტყვით მაინც და მაინც, თუმცა წინა წლებთან შედარებით გამოსწორების გზაზე არიან. მხედველობაში მაქვს მათი დამოკიდებულება საზოგადოებასთან. მილიცია აუცილებლად უნდა იდგეს ხალხთან, მასებთან, თუ კი მას მართლა ფუნქციონალურად სწორედ მათი ინტერესების დაცვა ევალება.

**მერაბ ხერგიანი. მესტიის მკვიდრი, მუზეუმის თანამშრომელი** — მე ალბათ საქართველოს მილიციას ჩვენი რაიონის მილიციის ფონზე განვსჯი და იქნებ ეს არ იყოს მისაღები. მესტიის რაიონში მილიცია სრულიად უმოძრაოდაა, ხშირია კანონიერების დარღვევის ფაქტები, როცა ალალმართალი კაცი ისჯება სხვისი დანაშაულისათვის. თითქოს 9 აპრილმა ცოტათი გამოაფხიზლა ეს ხალხი, მაგრამ ეს იყო ძალიან ცოტა ხნით. მე გული მწყდება დღეს ამ სისტემაში არსებულ მდგომარეობაზე. ნუთუ მაინც და მაინც მსხვერპლია საჭირო, რომ ერთმანეთის სიყვარული, თანადგომა მონატრებად არ გვექცეს.

**ნიკოლოზ ბაქრაძე, სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების უფროსი** — მე მგონი დღევანდელი მილიცია ცოტათი გამოუვალ მდგომარეობაშია, იქნებ იმიტომ, რომ ბოლო დროს რესპუბლიკაში შექმნილმა კრიზისულმა სიტუაციებმა ისინი მოსწყვიტა უშუალო სამსახურიდან, იქნებ იმიტომაც, რომ ეს სისტემაში ჯერაც მოქმედებს მოძველებული, უკვე დახავსებული კანონები. ერთი კია — 9 აპრილმა მილიცია მეტად დააკავშირა ხალხს და ამ სისხლის ფასად მოპოვებულ ერთიანობას გაფრთხილება სჭირდება. არ უნდა გაწყდეს ეს ძაფი. უკანასკნელ პერიოდში ჩვენთან გახშირდა სხვადასხვა სახის დანაშაულობები, მატულობს მკვლელობების, ყაჩაღობის, ძარცვის ფაქტები. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ მილიცია ველარ აკეთებს მის საქმეთებელს. ალბათ მეტი სიფხიზლე და პროფესიონალიზმია საჭირო. მილიციის მომავალი წარმომიდგენია როგორც მსოფლიოს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, წესრიგის დამცველი და ყოველგვარი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტების მიმართ შეურიგებელი, თავისი ქვეყნისა და ერის ინტერესების დამცველი.

ცხადია, ყველას ნააზრევის ქაღალდზე გადმოტანას ჩვენ ვერ შევძლებთ ინტერვიუერებიც შემთხვევით „შერჩეულნი“ იყვნენ, მაგრამ ამ საუბარმა ერთი რამე ნათლად დაგვანახა — დღევანდელი საქართველოს მილიცია, თავისი შინაარსით და ხასიათით ვერ აკმაყოფილებს საზოგადოების გარკვეული ნაწილის გაზრდილ მოთხოვნებს. საკმაო ნაწილი ადამიანებისა ჯერაც გულგრილნი, რწმენადაკარგულნი არიან. ამ სამსახურის მიმართ, მავანისა და მავანის წინაშე დაშვებული უსამართლობისათვის, უხეშობისათვის თუ პროფესიული არასრულყოფისათვის.

ხვალინდელ საქართველოს სჭირდება დახვეწილი, მორალურად და ზნეობრივად სრულყოფილი შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელი, ჩვენ არ უნდა გვჭირდებოდეს სისხლი და მსხვერპლი იმ საქმისათვის რასაც მამული, ერისკაცობა და ქვეყნის მომავალი ჰქვია...

განა ეს ასე არ არის?!

მ. მოსიძე.



**რედაქციისაგან:** ზემოთმოყვანილი ინტერვიუები ჩვენი რედაქციის პირველი ცდაა საქართველოს მილიციაზე რიგითი მოქალაქეების აზრის გასაგებად. შეიძლება აქ გამოთქმულ მოსაზრებებს (მაგალითად მესტიის შს რაიგანყოფილების მუშაობის ასე ცალმხრივად შეფასებას) ვერ დავეთანხმოთ, მაგრამ ისინი მაინც უცვლელად მივაწოდეთ ჩვენს მკითხველს, რადგანაც თითოეულ მათგანში გამოთქმული აზრი შს ორგანოების მუშაობის სრულყოფისაკენ უნდა იყოს მიმართული.

# დანაშაული სტატისტიკის ენით

**მიმდინარე** წლის ორ თვეში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ოპერატიულ ვითარებას არსებითი სახეცვლილება არ განუცდია. კვლავ აღინიშნება საერთო დანაშაულის ზრდა (11, 6 პროცენტით).

საერთო დანაშაული გაზრდილია ქ. ბათუმში, რომლის ტერიტორიაზე აღრიცხულია რესპუბლიკის დანაშაულის თითქმის ნახევარი. მეტნაკლებად საერთო დანაშაული გაზრდილია ქედის, ხულოსა და შუახევის რაიონებში.

სისხლის სამართლის სამძებროს ხაზით დანაშაულის ზრდა აღინიშნება ქ. ბათუმში, შუახევისა და ხულოს რაიონებში.

ამავე დროს გარკვეულად დამაიმედებელია ის გარემოება, რომ რეგისტრირებულ დანაშაულში ნაკლებია დაუნდობლობა და სისასტიკე. საგრძნობლად შემცირებულია მძიმე დანაშაულის ფაქტები. კლებაა მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების, ბოროტი ხულიგნობისა და სხვა დანაშაულის ფაქტებისა. კვლავ ადგილი აქვს მოქალაქეთა პირადი და სახელმწიფო ქონების ქურდობის ზრდას. მიმდინარე წელს აღინიშნა ავტოტრანსპორტის გატაცებათა ზრდის ტენდენცია. თუმცა უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს რომ გაზრდილია არასრულწლოვანთა მხრიდან ჩადენილი დანაშაული.

შედარებით აქტიური ხდება დანაშაულთან ბრძოლა ეკონომიკის სფეროში. მეტია გამოვლენილი ანგარიშითი სამართალდარღვევები. კერძოდ, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გაფლანგვა — დატაცება. კვლავინდებურად სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით გამოვლენილ დანაშაულში დიდია სპეკულაციისა და საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის ხვედრითი წილი. საერთოდ მხილებულია 59 დანაშაულის ფაქტი. მათ შორის 20 სპეკულაციაზე მოდის.

სტატისტიკის მიხედვით შედარებით სიმშვიდეა ქუჩებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში. ქუჩის დანაშაულის კლება 2 ერთეულის ტოლია. შინაგან საქმეთა სამედიცინო გამოსაფხიზლებელში მოთავსდა 268 პირი ანუ 32-ით ნაკლები. სპეციალურ მიმღებ-გამანაწილებლებში მაწანწალობისათვის შემოწმება გაიარა 57 პირმა ე. ი. 11-ით ნაკლებმა. მაგრამ მიგვაჩნია, რომ მაწანწალობის წინააღმდეგ ღონისძიებები გასააქტიურებელია რესპუბლიკის ზღვისპირა ზოლში. საგაზაფხულო სამუშაოების დადგომასთან დაკავშირებით შემთხვევითი პირების ნაკადი აქ კიდევ უფრო გაიზრდება. შინაგან საქმეთა სამინისტრო ამახვილებს ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონების მოსახლეობის ყურადღებას, არ დაუშვან შემთხვევითი პირების დაქირავებული შრომის გამოყენება პირად დამხმარე მეურნეობაში.

გასული წლების პრაქტიკა ადასტურებს, რომ მსგავსი პირები არც თუ ისე იშვიათად ჩადიან ქონებრივ დანაშაულს ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ.

არ მცირდება უმუშევარი და ადრე ნასამართლევი პირების მხრიდან სისხლის სამართლის დანაშაულის ფაქტები. ადრე ნასამართლებთა მიერ ჩადენილია 9, ხოლო უმუშევარი პირების მიერ 8 განზრახი დანაშაული. შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ გამოვლენილია 98 უმუშევარი და მუქთახორა, რომელთაგან 62 ჩაება საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში.

ავტონომიური რესპუბლიკის გზებზე კვლავ რთული ვითარებაა. განვლილ პერიოდში აღრიცხულია 20 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა. დაიღუპა 9 და დაზიანდა 17 კაცი. თუ შევადარებთ გასული წლის ორი თვის მონაცემებს, ავარიულობა გაზრდილია 3 ერთეულით, გარდაცვლილთა რაოდენობა 4 პირით, დაზიანებულთა რიცხვი სტაბილურია.

ორ თვეში შინაგან საქმეთა ორგანოები ძიებაზე თავის არიდებისათვის ეძებდნენ 27 პირს, დაძებნილია 10, 17 პირის დასაძებნად ტარდება შესაბამისი ღონისძიებები.

**აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესჯგუფი.**

# საჭიროა განგაში

ანუ

საქართველოში კვლავ ავადსახსენებელი „სი-ეს"-ი?

...მოგება. მთლიანად ზემოაღნიშნული გაზის 13 ბალონის გადაყიდვით უნდა ენახა 1300 მანეთის განსაკუთრებით დიდი ოდენობით მოგება. ხოლო შემდგომში ბრალდებულმა შეცვალა ჩვენებები და მხოლოდ ნაწილობრივ სცნო თავი...

...ლონების გაყიდვა წინასწარი გამოძიების დროს საეჭვოდ იქნა მიჩნეული და მოგონილი პასუხისმგებლობის შემსუბუქების მიზნით, რამეთუ ადრე მიცემულ საკუთარ ხელნაწერ ჩვენებებში იგი არაერთგზის აღიარებდა, რომ ყოველი...



სურათზე: რუსთავის შს საქალაქო განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი ს. დვალი და ამავე ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილე, მილიციის მაიორი დ. მახარაშვილი (რომელმაც გამოიძია აღნიშნული საქმე) საქმის მასალების შესწავლის და „სი-ეს"-ის ბალონების დათვალიერების დროს.

ბ. მგალობლიშვილის ფოტო.

დამნაშავედ მისადმი წაყენებულ ბრალდებებში. კერძოდ მან აღიარა ძლიერმოქმედი ნივთიერებების შემცველი ბალონების შეძენის, შენახვის და ტრანსპორტირების ფაქტი და აღნიშნა, რომ ეს ბალონები შეიძინა თავდაცვის მიზნით, რომ ამა წლის 31 იანვარს იგი ჩამოვიდა ქალაქ თბილისში სათხაბო საყიდლებისათვის და თავდაცვის...

ბალონიდან 100-100 მანეთის მოგებას ფიქრობდა. ამას გარდა თვით ის ფაქტი, რომ მას თან აღმოაჩნდა ასე დიდი რაოდენობით — 13(!) ბალონი, მეტყველებს მის სურვილზე ზედმეტ ფასში გაეყიდა თავისი „საქონელი" და არა მხოლოდ „დაეცვა თავი."

ამა წლის 21 მარტს ი. ვ.-ს წარედგინა საბოლოო ბრალდება სა...

# КАДРАМ МИЛИЦИИ ПОСТОЯННУЮ ЗАБОТУ

**НА СОВРЕМЕННОМ** этапе перестройки стиля и методов работы ОВД в Гардабанском райотделе внутренних дел, как и по республике в целом, особое значение придается совершенствованию кадровой работы. Руководство РОВД, партийная организация работу по подбору, расстановке и воспитанию кадров проводят во взаимодействии с местными партийными и советскими органами на основе коллегиальности, демократии и гласности, в соответствии с современными требованиями партии и правительства.

Проведенные в последнее время практические мероприятия позволили улучшить основные показатели, характеризующие работу с кадрами.

Возрастает партийная прослойка начальствующего и рядового состава. Повысился образовательный ценз сотрудников отдела. Так например, 97,1 процента офицерского состава имеют высшее и среднее специальное образование, 95,5 процента рядового и сержантского состава имеют образование не ниже среднего, из них 7 сотрудников учатся в высших учебных заведениях. Проблема только в том, что крайне трудно после окончания ВУЗа направлять выпускников - заочников на офицерские должности. Руководство заинтересовано в том, чтобы при появлении вакансий не переводить сотрудников из других ГОРОВД, а, по возможности, проводить оправданные перемещения в самом отделе. Такой порядок стимулирует работу личного состава, открывающаяся перспектива положительно сказывается на службе сотрудников.

За последние два года удалось добиться укрепления служебной дисциплины. Дисциплинарная практика показывает, что в 1989 году было поощрено 95 сотрудников, то есть на 17 больше, чем в 1988. В то же время следует отметить, что справедливо наложенные дисциплинарные взыскания также дают определенный положительный воспитательный эффект. Примечательно и то, что за последние 5 лет из РОВД не уволено ни одного сотрудника по отрицательным мотивам.

В прошлом году за активное участие, настойчивость, проявленную при задержании преступников по факту кражи госимущества были поощрены оперуполномоченные ОБХСС К. Карумидзе и Н. Гиунашвили. За проявленную бдительность, смелые и решительные действия при задержании совершивших побег осужденных зам. начальника РОВД полковник милиции А. Гоголаури, оперуполномоченный ОУР старший лейтенант милиции Э. Алиев и старший сержант милиции Р. Рустамов награждены ценными подарками.

Активное участие наши сотрудники принимали в охране общественного порядка в гг. Тбилиси, Цхинвали, в других регионах республики, в Армянкой ССР при ликвидации последствий землетрясения.

Положительно сказалось на воспитании личного состава проведенное за два года служебное аттестование. Это важное мероприятие будет продолжено и в текущем году. Аттестование позволило определить круг сотрудников, не отвечающих по своим профессиональным и политическим качествам предъявляемым на сегодняшний день требованиям. Принимаются меры по их перемещению в соответствии с их служебной квалификацией.

В процессе аттестования были выявлены и серьезные недостатки, когда отдельные руководители подразделений милиции представляли необъективные характеристики на подчиненных, не отражавшие политические, моральные и деловые качества сотрудников. По всем таким случаям была дана руководством соответствующая оценка.

Хочется надеяться, что сейчас, в преддверии выборов в депутаты республиканского парламента, будут приняты новые законы по правовой защищенности сотрудников органов внутренних дел, будут разработаны образцы новой форменной одежды — удобной, легкой, красивой, отвечающей мировым стандартам.

Руководство райотдела хорошо понимает, что улучшение работы с кадрами, их постоянное целенаправленное обучение и воспитание — забота всего коллектива. Многое зависит и от позиции населения. Ведь не только милиционер обязан культурно и вежливо обращаться с гражданами, приходить им на помощь, но и они должны с пониманием относиться к стражам правопорядка, помогать им быть на высоте тех нелегких требований, которые предъявляются человеку в форменной одежде.

**В. СЛАСТУХИН,**
**майор милиции, старший инспектор по кадрам Гардабанского РОВД.**

● 29 марта сотрудниками Дидидигомского отделения милиции Сабурталинского РОВД г. Тбилиси задержан Геннадий И., у которого изъято 29 г марихуаны.

● 1 апреля в г. Тбилиси по ул. Асатиани сотрудниками ОУР Сабурталинского РОВД столицы республики задержаны Нестор К., ранее судимый и Давид М., инвалид II-ой группы, которые, отжав дверь, проникли в квартиру пенсионерки Тамары А., откуда совершили кражу 3.500 рублей и золотых изделий. Краденое изъято.

## Только факты

● 1 апреля в г. Рустави неработающий житель этого города Тамази Л. угнал автомашину ВАЗ-2106, принадлежащую инвалиду II-ой группы Валерию Л. Угонщик задержан, автомашина возвращена владельцу.

● 1 апреля в Калининский РОВД г. Тбилиси обратился гр. Австрии Г. Финтер с заявлением о том, что в гостинице «Иверия» из его номера неустановленный преступник совершил кражу 340 долларов, 200 шиллингов и 550 франков. Принятыми мерами по «горячим следам» сотрудниками РОВД задержана Анна А., инвалид I-ой группы, жительница с. Ахурян Ленинаканского района Армянской ССР. Краденое изъято.

● 2 апреля сотрудниками Калининского РОВД г. Тбилиси совместно с милиционерами ППС УВД столицы республики задержан Давид Ц., старший геолог управления геологии, у которого изъят револьвер системы «Наган» без номеров с 7-ю боепатронами.

# შენიშვნები და წინადადებები სკკპ წესდების პროექტის ირგვლივ

**პრესაში** განსახილველად გამოქვეყნებული სკკპ წესდების პროექტის ირგვლივ მაქვს გარკვეული შენიშვნები და წინადადებები, რო...

პენსიონერ კომუნისტთა დიდი ნაწილი კი არ „მუშაობს მის ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციაში", არამედ დგას პარტიულ აღრიცხვა...

...ზე". ეს იქნებოდა აზრის დაცვის უფლება.

11. პროექტის მე-13 პუნქტში ვკითხულობთ: „პარტიის საფუძველია პირველადი ორგანიზაციები...

...და ისე ცხოვრებისა, როგორც მოკავშირე რესპუბლიკების ხალხებს უნდათ?

ახლა როგორ გავიგოთ იგივე პუნქტში ნათქვამი: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის...

სწრაფად, ოპერატიულად

# ალდო გაუმართლდათ

**შუაღამე** დიდი ხნის გადასული...



...ბი. მათმა დიდმა ოპერატიულმა გამოცდილებამ თავისი ქნა. სულ რაღაც 30 წუთში ქუჩის ერთ-ერთ ჩიხში გაჩერებული ავტომანქანა შეამჩნიეს. საჭირო იყო მისი მფლობელის ვინაობის დადგენა. ისინი ჩუ...

ბ. ბიაშვილი.

* * *

სურათზე: გ. ბერიკელაშვილი და ო. ბოლქვაძე ...შვილი.

ავტორის ფოტო.

СЕГОДНЯ — ВСЕМИРНЫЙ ДЕНЬ ЗДОРОВЬЯ

# ЕСТЬ У НАС И ПРОБЛЕМЫ

**По результатам социологических исследований примерно на 50 процентов наше здоровье, зависит от образа жизни, на 20 процентов — от влияния различных факторов окружающей среды, еще на 20 — от биологических особенностей и свойств каждого человека, а всего лишь на 10 — от медицинской службы. Но, именно на нее делаются основные ставки. Раз это так, значит наше здравоохранение должно быть мощным оружием в борьбе с недугами.**

**НА СОВРЕМЕННОМ** этапе уровень здравоохранения определяется состоянием материально - технического обеспечения, наличием передовых технологий. Но увы, этим мы похвастаться пока не можем.

Что предпринимается для улучшения здоровья сотрудников органов внутренних дел нашей республики, какие проблемы возникают мы попросили рассказать заместителя начальника госпиталя МВД ГССР, майора внутренней службы. кандидата медицинских наук Г. Скляренко.

— Начну с того, что только в 1989 году мы приняли на лечение в госпиталь свыше 2 тысяч сотрудников органов внутренних дел, из которых 40 мы лечили по поводу травм и отравлений, полученных ими в связи с общеизвестными трагическими событиями, происшедшими в Тбилиси 9 апреля прошлого года.

Со всеми больными были проведены консультации соответствующими специалистами, была оказана квалифицированная медицинская помощь, и выписаны они были с улучшением здоровья.

Есть у нас и проблемы — снабжение лекарственными препаратами и медицинской диагностической аппаратурой. В этом году неврологическое отделение госпиталя пополнилось аппаратурой для магнитотерапии, с помощью которой начальник отделения майор внутренней службы М. Барнова лечит периферические нервные заболевания, воспалительные процессы и др. Кстати, сейчас в издательстве «Сакартвело» готовится к выходу в печать монография М. Барновой.

В госпитале также активно ведется научно-практическая деятельность: завершает работу над кандидатской диссертацией начальник хирургического отделения старший лейтенант внутренней службы Р. Цагарейшвили, врач - хирург М. Гонджилашвили защитил кандидатскую диссертацию, а Г. Скляренко работает над докторской **(прим. автора).**

Скоро вступит в строй новое реанимационное отделение, где будет применяться методика лечения больных в барокамере.

На ближайшую перспективу намечено открытие кардиалогического и урологического отделений.



**Записал А. МАЛАЯНЦ.**

* * *

**НА СНИМКАХ: дежурный врач Ю. Чихашвили осматривает вновь поступившего больного; во время проведения лечебной физкультуры.**



სპორტი ••••••••••••• СПОРТ ••••••••••••• სპორტი

## თბილისის სპარტაკიადაზე

**თბილისის** ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ქალაქის შს სამმართველოს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება კროსში. 1 კმ-იან დისტანციაზე გაიმარჯვა ი. მამედოვმა (3. 00), 3 კმ-ზე საუკეთესო იყო გ. ზუტიკოვი (9.40). ორივე სპორტსმენი შს სამმართველოს ერთ-ერთი ცალკე დანაყოფის თანამშრომლები არიან. სულ კროსში მონაწილეობა მიიღო 50-ზე მეტმა მძლეოსანმა, რაც ვფიქრობთ ძალზე ცოტაა. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ სამმართველოს პოლიტგანყოფილების მცირერიცხოვანმა კოლექტივმა (5) — სამი მორბენალი გამოიყვანა, რომლებიც ურიგოდ არ გამოსულან.

სიმძიმეების აწევაში სპარტაკიადის მონაწილენი სამ წონით კატეგორიაში ასპარეზობდნენ. ჩემპიონობა მოიპოვეს ზ. სახვაძემ (საბურთალოს შს რაიგანყოფილება), ა. მარტიაშვილმა (ობიექტების დაცვის დანაყოფი) და რ. შუშანაშვილმა (პირველი მაისის შს რაიგანყოფილება).

## ЗОЛОТО ГАБРИЧИДЗЕ

**В КРАСНОЯРСКЕ** завершился зимний мужской чемпионах страны по теннису. Золотую медаль завоевал тбилисский динамовец, мастер спорта международного класса В. Габричидзе (тренеры — заслуженные тренеры Грузинской ССР Г. Чахунашвили и Т. Лейус).

— Его победа в одиночном разряде — в определенной степени неожиданность, — сказал после финального поединка тренер мужской сборной команды СССР Ш. Тарпищев, — ведь хорошо известно, что Габричидзе парный игрок, и не случайно он пятикратный чемпион страны именно в этом виде программы.

К сожалению, на этот раз сильнейшую динамовскую пару нашей республики Габричидзе — Качарава «выбили из седла» в полуфинале ереванцы Шиладжян—Саргсян, которые и завоевали золотые медали. Зато на финальный матч в одиночном разряде с Андреем .Самецом из Минска Габричидзе вышел во всеоружии и уверенно победил. Поздравляем и мы тбилисского динамовца.

**А. МАЛАЦИДЗЕ.**

## „9 აპრილი“

**ახლახანს** გამომცემლობა „მერანმა“ მკითხველებს შესთავაზა სოლიდური მოცულობის წიგნი „9 აპრილი“. ამ წიგნმა კიდევ ერთხელ შეაძრწუნა ჩვენი ხალხი — მართლაც რამხელა უბედურება დაგვატეხეს თავს!

წიგნში დაბეჭდილია თითქმის ყველაფერი, რაც კი ამ საბედისწერო დღესთან დაკავშირებით ითქვა — აქაა სიტყვები, წერილები, ინფორმაცია, ლექსები, ნარკვევები, გადაწყვეტილებები, მიმართვები, განცხადებები. — სხვადასხვა ადგილას ჩართული ფოტომასალა თავისებურად და ზუსტად ამხელს დანაშაულის მთელ სიმძიმეს.

კრებული შეადგინა გ. გვერდწითელმა, სპეციალური რედაქტორია ს. ცაიშვილი, მხატვრულად გააფორმა ს. ცინცაძემ.

გამომცემლები გვამცნობენ, რომ — „ამ წიგნიდან მოგების 300 ათასი მანეთი მოხმარდება საქველმოქმედო საქმეს — ქვემო ქართლისა და ჯავახეთში მრავალშვილიანი ქართული ოჯახებისათვის სახლების შენებას.“

# პირველი ეროვნული

**30 მარტს** სტარტი აიღო საქართველოს პირველმა დამოუკიდებელმა ეროვნულმა ჩემპიონატმა ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობს ჩვენი რესპუბლიკის ყველა უძლიერესი გუნდი.

საზეიმო ატმოსფეროში, გულშემატკივრებით გაჭედილი ეროვნული სტადიონის სათამაშო მოედანზე გამოდიან თბილისის „იბერიისა“ და ფოთის „კოლხეთის“ ფეხბურთელები. ბურთი თამაშში შეყავს ვიტალი დარასელიას ვაჟს და იწყება პირველი ეროვნული...

მატჩმა საინტერესო, თანაბარ ორთაბრძოლაში ჩაიარა. არ გამართლდა ზოგიერთი სკეპტიკოსის მოსაზრება (რაც დაადასტურა მეორე ტურმაც) იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის ჩემპიონატის უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდები თითქმის უბრძოლველად გაინაწილებდნენ საპრიზო ადგილებს. მაგრამ უკვე პირველმა მატჩმა გვიჩვენა, რომ აქამდე რანგით უფრო მაღლა მდგომ გუნდებს სრულებით არ ელით იოლი ცხოვრება. პირველ მატჩში თბილისში გამარჯვების შემდეგ ფოთელებმა მეორე შეხვედრაც მოიგეს გალის „მზიურთან“ (4:0) და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე არიან. მეორე ტურის გასვლითი მატჩი მოიგო სამტრედიის „სანავარდომ“. ამ გუნდს ცხრილში მეორე ადგილი უკავია. პირველობის ლიდერობა ცხინვალის „ლიახვის“ დიდი ანგარიშით (6:0) დამარცხების შემდეგ ხელთ იგდო ლანჩხუთის „გურიამ.“ ორივე ტურის შეხვედრებმა კორექტულ, საინტერესო, უმეტესად თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა და მაყურებელიც ბლომად ჰყავდა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ იმ მატჩების მსაჯობა რომელთა ნახვის საშუალებაც მოგვეცა საკმაოდ მაღალკვალიფიციური იყო.

ბოლოს გვინდა პირველი ეროვნული ჩემპიონატის მატჩების შესახებ დაწერილი პირველი წერილი შემდეგი სიტყვებით დავამთავროთ: ქართული ფეხბურთი ნათელ გზაზე გავიდა და დარწმუნებული ვართ მალე ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაციების აღიარების შემდეგ არც სპორტის ამ პოპულარული სახეობის გრანდებთან შერკინებაში შეირცხვენს თავს.

**გ. თათეიშვილი.**



* * *

**სურათზე: რუსთავის „გორდასა“ და თბილისის „იბერიის“ მატჩის მომენტი.**

**ს. ჯანიაშვილის ფოტო.**

ПО МАТЕРИАЛАМ ГЛАВНОГО ИНФОРМАЦИОННОГО ЦЕНТРА МВД СССР

## Использование данных, полученных с помощью технических средств, в изобличении преступников

**ИЗУЧЕНИЕ** практики борьбы с групповой преступностью свидетельствует о том, что значительные затруднения работники правоохранительных органов испытывают при документировании преступных действий. Нередко это связывают с тем, что в законодательстве отсутствуют нормы, регламентирующие применение технических средств для фиксации преступного поведения. Однако, анализ норм уголовно - процессуального закона приводит к выводу о том, что допустимо и возможно более широкое использование в доказывании данных, полученных с использованием технических средств.

В судебной практике все более широкое применение находят данные, полученные потерпевшими, которые фиксировали преступное поведение, например вымогателей, на фонограммы, выдеограммы.

Представлять доказательства по закону (ст. 70 УПК РСФСР) могут не только потерпевшие, но и «любые граждане, предприятия, учреждения и организации». Это позволяет результаты оперативно - розыскных мер, полученные в ходе обнаружения преступлений и лиц, их совершивших (ст. 118 УПК РСФСР), использовать в изобличении преступников.

Учитывая, что наибольшие затруднения в использовании данных, полученных с помощью технических средств, возникают в связи с обеспечением достоверности условий получения фонограмм, ВНИИ МВД СССР подготовлены рекомендации по тактике применения технических средств в ходе оперативно - розыскной деятельности и ее документальному оформлению.

**Подробную информацию об этом можно получить во ВНИИ МВД СССР.**

ინდექსი 66689

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ:
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95--66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კობალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება, ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. უე 09377